ანა ფირცხალავა

კავკასიის ბიზნესის სკოლა

FH Joanneum უნივერსიტეტი, ავსტრია

“2023 წლის შემოდგომის სემესტრში მომეცა განსაკუთრებული შესაძლებლობა - განათლება მიმეღო ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო ქვეყანაში დაფინანსებით, რისთვისაც მადლიერი ვარ Erasmus+ის, კავკასიისა და FH Joanneum-ის უნივერსიტეტების.

Fh Joanneum-ის ლექტორებმა, როგორც ავსტრიიდან, ასევე მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან, საინტერესო და მრავალფეროვანი პრაქტიკული თუ თეორიული ცოდნა გამიზიარეს. საერთაშორისო სტუდენტებთან ჯგუფურ პროექტებზე მუშაობამ კი გამიუმჯობესა კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარები, რაც დარწმუნებული ვარ, ღირებულია ჩემი მომავალი კარიერისთვის.

ფასდაუდებელი ასპექტი იყო მეგობრული ურთიერთობები სხვადასხვა ეროვნების ადამიანებთან. თითოეული მათგანის კულტურაზე საოცრად საინტერესო ამბები მოვისმინე.

მოგეხსნებათ, მარტო ცხოვრებას უამრავი გამოწვევა ახლავს თან, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანები, რომლის იმედიც გაქვს, შენგან შორს არიან. კომფორტის ზონის დატოვება ყოველდღიურ მოვლენად იქცა, თუმცა სწორედ ამ გამოწვევების პირისპირ შეხვედრის შედეგად გავიარე პიროვნული ზრდისა და საკუთარი თავის აღმოჩენის ყველაზე საინტერესო ეტაპები. როდესაც ვფიქრობ Erasmus+ის გამოცდილებაზე, სასიამოვნოდ გაკვირვებული ვარ იმით, თუ რამდენად ღრმად ჩამოაყალიბა მან ჩემი შეხედულება ცხოვრებასა და მომავლის მისწრაფებებზე.

გაცვლითი სემესტრის განმავლობაში მნიშვნელოვანი სურვილი იყო, უკეთ გამეცნო საქართველო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის. მეგობრებს კი უჩნდებოდათ მეტი ინტერესი ადგილის მიმართ, რომელსაც სიამაყით ვეძახი სამშობლოს. ჩემი იტალიელი მეგობრის შეფასებით ქართველებს გამორჩეულად გვიყვარს ჩვენი ქვეყანა, ჩვენი კულტურა მსგავსია ევროპულის, თუმცა პატივს ვცემთ და ვინარჩუნებთ საკუთარ განსხვავებულ კულტურულ მახასიათებლებს, რომლითაც ასევე მოიხიბლა. მჯერა, თითოეული გაცვლითი პროგრამის სტუდენტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი სწორედ საქართველოს პოპულარიზაცია უნდა იყოს.

ვფიქრობ, აუცილებელია თითოეულმა სტუდენტმა განათლება საზღვარგარეთ მიიღოს. ეს არ არის მხოლოდ ცოდნის მიღების საშუალება, უცხო ქვეყანაში სწავლა

დაკავშირებულია მნიშვნელოვან პიროვნულ ზრდასთან და მრავალი უნარის განვითარებასთან.”